თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

სამხრეთელი ფეიქარი

სამხრეთის ერთ სოფელში ერთი ფეიქარი ცხოვრობდა. მან ულამაზესი ხალიჩების ქსოვა იცოდა. ერთი ხალიჩის მოქსოვას მთელ წელიწადს უნდებოდა და ძალიან ცოტა შემოსავალი ჰქონდა.

ერთხელ ფეიქარს საქსოვი დაზგა გაუტყდა. აიღო ცული და ახალი დაზგის გასაკეთებლად მაგარი ჯიშის ხის საძებრად გასწია.

ერთ მაღალ ბზას დაადგა თვალი.

უცბად შემოესმა:

- მეგობარო, შეიბრალე ეს ხე!

- ნეტავი ვინ მელაპარაკება? – გაუკვირდა ფეიქარს.

- მე ვარ, ტყის ჯადოქარი. ამ ხეში ვბინადრობ და ნუ მოჭრი. სამაგიეროდ, რაცა გსურს, შეგისრულებ, - შესთავაზა ჯადოქარმა.

ფეიქარმა ცოტა ფიქრის შემდეგ უთხრა:

- წავალ, ცოლს შევეკითხები და პასუხს მერე გაგცემ.

გზაში ნაცნობი დალაქი შემოხვდა და მოუყვა, რაც გადახდა.

- ოო, რახან ასეა, სამეფო სთხოვე! შენ მეფედ დაჯდები, მე შენი მრჩეველი ვიქნები და ორივენი ამქვეყნიური ნეტარი ცხოვრებით დავტკბებით, – ურჩია დალაქმა.

- შეიძლება შენ მართალს ამბობ, მაგრამ რჩევა მაინც ჯერ ცოლს უნდა ვკითხო! — უპასუხა ფეიქარმა.

- მეგობარო! განა შეიძლება ქალმა ჭკუა გასწავლოს?! – გაუკვირდა დალაქს.

LIVEWORKSHEETS

- მე მაინც რჩევა ცოლს უნდა ვკითხო, – გაიმეორა კაცმა და შინისაკენ გაეშურა.

- ჩემო კარგო, ტყის ჯადოქარს რა ვთხოვოთ? – შეეკითხა ცოლს. – ჩემმა მეგობარმა დალაქმა მირჩია, სამეფო სთხოვეო.

- რა უჭკუო ყოფილა ის შენი დალაქი! არაფერი დაუჯერო! განა არ იცი, რომ მეფეს გულითადი მეგობრები არა ჰყავს?! ჰოდა, იმ ჯადოქარს ისეთი დაზგა სთხოვე, რამდენიც მოგესურვება, იმდენი ლამაზი ხალიჩა მოქსოვოს.

ფეიქარი დაეთანხმა ცოლს. მერე დაფიქრდა: ,,ვთქვათ, ტყის ჯადოქარმა მართლაც მომცა სასწაულმოქმედი დაზგა. ხალიჩებს თუ დაზგა მოქსოვს, მე რაღა ვაკეთო? ხალიჩები ვყიდო და ფული ვაგროვო?!" ეს რომ წარმოიდგინა, ცუდად გახდა. ტყის ჯადოქართან რომ მივიდა, მხოლოდ ძველი დაზგის შეკეთება სთხოვა.

ფეიქარი როგორც კი შინ დაბრუნდა, თავის საქსოვ დაზგას მივარდა. იგი შეკეთებული დახვდა. მაშინვე შეუდგა ხალიჩის ქსოვას. დღედაღამ ქსოვდა და ქსოვდა. სხვა ამქვეყნად აღარაფერი ახსოვდა.

ხალიჩის ქსოვა რომ დაამთავრა, ყურადღებით შეათვალიერა თავისი ნახელავი. შემდეგ უეცრად გაეცინა და წამოიძახა:

- ვინმე გაიგებს ახლა ჩემს ბედნიერებას? ხომ შემეძლო მეფე გავმხდარიყავი და დიდძალი სიმდიდრე მქონოდა, უამრავი ყურმოჭრილი ყმა მყოლოდა. ტყის ჯადოქარს შეეძლო გავემდიდრებინე, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთ ნამდვილ მეგობარსაც ვერ შევიძენდი. მოსვენებას დავკარგავდი და სულ იმის შიშში ვიქნებოდი, სიმდიდრე ხელიდან არ გამომცლოდა. ვისი ბედნიერება შეედრება ჩემსას? საკუთარი თვალით ვუმზერ მშვენივრად ამოქარგულ ხალიჩებს და საკუთარი ყურით ვისმენ, ყველა როგორ მიქებს ნახელავს!

დიდხანს იცოცხლა ფეიქარმა.

სიმდიდრე ვერ შეიძინა, სამაგიეროდ მთელ ქვეყანაში საუკეთესო ოსტატის სახელი გაითქვა. მისი სიკვდილის შემდეგაც ხალხი დიდხანს იგონებდა სამხრეთელ ფეიქარს, ლამაზი ხალიჩების ქსოვა რომ იცოდა.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რატომ იყო ფეიქარი ღარიბი?

ა) დიდხანს უნდებოდა ხალიჩის ქსოვას.
ბ) ენანებოდა ლამაზი ხალიჩების გაყიდვა.
გ) ვერ ყიდდა ხალიჩებს სიძვირის გამო.

2. ფეიქარმა ,,ერთ მაღალ ბზას დაადგა თვალი". რას ნიშნავს აქ გამოთქმა <u>დაადგა თვალი?</u>

ა) მოეწონა. ბ) შეათვალიერა. გ) შეამჩნია.

3. რატომ სთხოვა ტყის ჯადოქარმა ფეიქარს, რომ ბზის ხე არ მოეჭრა?

ა) ბზაში თვითონ ბინადრობდა.
ბ) ბზა ფეიქარს არ გამოადგებოდა.
გ) ბზის ხე ლამაზი იყო.

4. დალაქმა ფეიქარს ურჩია, რომ ჯადოქრისთვის ეთხოვა:

ა) დაზგის შეკეთება.
ბ) დიდებული სამეფო.
გ) ჯადოსნური დაზგა.

5. რა ნიშნავს სიტყვა <u>ნეტარი</u> ფრაზაში: ,,ამქვეყნიური ნეტარი ცხოვრება"?

ა) მეტად დატვირთულს.
ბ) მეტად მრავალფეროვანს.
გ) მეტად სასიამოვნოს.

LIVEWORKSHEETS

6. ფეიქრის ცოლმა დალაქის რჩევა დაიწუნა, რადგან დარწმუნებული იყო:

ა) მეფეს გულითადი მეგობრები არასოდეს ჰყავს.
ბ) ფეიქარი თავის დაზგას ვერ შეელეოდა.
გ) ქმარს სამეფოს მართვა გაუჭირდებოდა.

7. რატომ არ სთხოვა ფეიქარმა ჯადოქარს სასწაულმოქმედი დაზგა?

ა) არ იცოდა ასეთი დაზგის გამოყენება.
ბ) არ სურდა სამუშაო შემცირებოდა.
გ) არ უნდოდა ბევრი ხალიჩა ჰქონოდა.

8. „მე რაღა ვაკეთო? ხალიჩები ვყიდო და ფული ვაგროვო?!"- გაბრაზდა ფეიქარი. ამ სიტყვების მიხედვით:

ა) მისთვის საკუთარი ნახელავის სილამაზე უმთავრესია.
ბ) მისთვის შემოსავალი ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია.
გ) მისთვის ხალიჩების გაყიდვა დიდი ბედნიერებაა.

9. რომელი სიტყვებიდან ჩანს, რომ ფეიქარს თავდავიწყებით უყვარდა თავისი ხელობა?

ა) „ახალი დაზგის გასაკეთებლად ხის საძებრად გასწია".
ბ) „დიდხანს ათვალიერებდა საკუთარ ნახელავს".
გ) „სხვა ამქვეყნად აღარაფერი ახსოვდა".

10. რატომ გრძნობდა ფეიქარი თავს ბედნიერად?

ა) ბევრი ფული იშოვა და გამდიდრდა.
ბ) ლამაზი ხალიჩის მოქსოვა ისწავლა.
გ) მისი მოქსოვილი ხალიჩა ყველას მოსწონდა.

LIVEWORKSHEETS

11. როგორ გამართლდა ფეიქრის სწორი არჩევანი?

ა) ხალიჩები მისი სიკვდილის შემდეგ ძალიან სწრაფად იყიდებოდა.

ბ) ხალხი დიდხანს იხსენებდა მას, როგორც საუკეთესო ოსტატს.

გ) ხალხი მშვენიერ ხალიჩებს სიამოვნებით ათვალიერებდა.

12. რა არის ამ მოთხრობის მთავარი სათქმელი?

ა) მთელი ცხოვრება სიმდიდრის შეძენაზე უნდა იფიქრო.

ბ) საყვარელი საქმის კეთება დიდი ბედნიერებაა.

გ) უპირატესობა აუცილებლად სხვის რჩევას უნდა მიანიჭო.

LIVEWORKSHEETS